Friedrich Naumann STIFTUNG FÜR DIE FREIHEIT

ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი
Economic Policy Experts Center

სტუდენტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები

თავისუფლება და ეკონომიკური თავისუფლება – კერძო საკუთრება, როგორც თავისულების გარანტი

(19 დეკემბერი, 2014)

Proceedings of Materials

of Student Scientific and Practical Conference

Freedom and Economic Freedom - Private Property as a Guarantee of Freedom

(December, 2014)

თბილისი TBILISI

2014

კონფერენციის ორგანიზატორია არასამთავრობო ორგანიზაცია **,,ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი''.**

არასამთავრობო ორგანიზაციამ ,,ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრმა'' **„Friedrich Naumann Foundation''**-ის პროექტ **"Freedom and Economic Freedom - Private Property as a Guarantee of Freedom"**-ის ფარგლებში, 2014 წელს (სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი) ლექციები ჩაატარა **საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკასა** და შემდეგ უნივერსიტეტებში: **"აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი"; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; "თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი''; "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი''; "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი''; ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი''; ,,გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი''; ,,კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი''; ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი''; ,,თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი"; „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი'' და ,,სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი''.**

ლექციების მიზანი გახლდათ სტუდენტებისათვის ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების ეკონომიკური მნიშვნელობების გაცნობა; ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა და კერძო საკუთრებაზე დამყარებული ეკონომიკური თავისუფლების აქტუალიზაცია.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ლექციებზე დამსწრე სტუდენტებმა.

სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს **2014** წლის **19** დეკემბერს სტუდენტთა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე ,,თავისუფლება და ეკონომიკური თავისუფლება-კერძო საკუთრება, როგორც თავისუფლების გარანტი" წარმოდგენილ საუკეთესო მოხსენებებს.

სამეცნიერო - სარედაქციო კოლეგია: რამაზ გერლიანი - „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი“-ს პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი; **მათე გარდავა** - „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი“-ს დამფუძნებელი; **ვეფხია გიორგაძე** - „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი“-ს ვიცე პრეზიდენტი; **ამირან კაპანაძე** - „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი“-ს საერთაშორისო დეპარტამენტის ხელმძღვანელი; **ირაკლი მაკალათია** - ეკონომიკის დოქტორი, თსუ.

Scientific-editorial Board: Ramaz Gerliani - President of "Economic Policy Experts Center", PH.D; **Mate Gardava –** The founder of "Economic Policy Experts Center, **Vepkhia Giorgadze** – Vice President of "Economic Policy Experts Center", **Amiran Kapanadze** - International department head at Economic Policy Experts Center; **Irakli Makalatia** - Tbilisi State University, PH.D.

კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი: ირაკლი მაკალათია - ეკონომიკის დოქტორი; **ამირან კაპანაძე** - „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი“-ს საერთაშორისო დეპარტამენტის ხელმძღვანელი; **ვეფხია გიორგაძე** - „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი“-ს ვიცე პრეზიდენტი.

Organizing Group of the Conference: Irakli Makalatia - Tbilisi State University, PH.D; **Amiran Kapanadze** - International department head at Economic Policy Experts Center; **Vepkhia Giorgadze** – Vice President of "Economic Policy Experts Center".

ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი, 2014

თბილისი, 0108, მელიქიშვილის 1/6.
ტელეფონი: +995 55 112 444; + 995 68 699 163
ელ. ფოსტა: epecconference@gmail.com; info.epec@gmail.com

კერძო საკუთრება და ეკონომიკური თავისუფლება

ნიკა ივანიძე - ბაკალავრიატი, თსუ

ნინა გრიგორიანი - ბაკალავრიატი, თსუ

ეკონომიკური თავისუფლება უმეტესწილად კერძო საკუთრების უფლების არსებობაზეა დამოკიდებული, რაც კანონიერ საკუთრებაში არსებული ქონების თავისუფლად გამოყენების, გაყიდვის, ან სათანდო ქონებრივი უფლებების დანაწილების უფლებამოსილებას გულისხმობს. თავისუფალი ბაზრები კარგად განსაზღვრულ საკუთრებით უფლებებზეა დამოკიდებული, რაც ხაზს უსვამს მასზედ, რომ სამართლებრივი სისტემა კანონის უზენაესობას და მთავრობისთვის უფლებამოსილებების შეზღუდვის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს.

კვლევებით დასტურდება, რომ ეკონომიკურ თავისუფლებასა (გაზომილი მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით) და არაერთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს, მაგალითად, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებს, ეკონომიკურ ზრდასა და სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის ძლიერი კორელაციური კავშირია.

ისტორია გვიჩვენებს, რომ ქვეყნები სადაც კერძო საკუთრება მკაცრად არის დაცული და ეკონომიკური თავისუფლება დიდია, ცხოვრების დონის საკმაოდ მაღალი სტანდარტებით ხასიათდებიან. 150 ქვეყნის ინფორმაციის საფუძველზე განხორციელებული კვლევით (ლი ჰოსკინსი და ანა ეირასი, 2002) გამოვლინდა, რომ ქვეყნები, სადაც კერძო საკუთრებითი უფლებები დაცულია, მეტ დოვლათს ქმნიან (მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე), იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც მსგავსი უფლებები გარანტირებული არაა და კორუფციის მაღალი დონეა.

ამ ნაშრომის დაწერის მიზეზსა და სურვილს ის გარემოებები გვიმყარებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე, ამიტომ ვიზიარებთ იმას, რომ კერძო საკუთრებითი უფლებების დაცვა და სახელმწიფოს როლის შესუსტება აუცილებელია არა მხოლოდ სამართლიანი საზოგადოების შექმნისათვის, არამედ სიღარიბის დასაძლევადაც. ამავე დროს, ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი პიროვნული თავისუფლების ზრდაა, ხოლო საკუთრებითი უფლებების ყოველგვარი შეზღუდვა,

ეკონომიკური თავისუფლებისა და საზოგადოების განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენს.

- ***ადამიანის და მისი საკუთრების დაცვა - კერძო საკუთრება***

საკუთრების შესახებ მსჯელობისას ჩვეულებრივ ფიზიკურ მხარეს გულისხმობენ, თუმცა ამგვარი კონცეფცია საკმაოდ მცდარია. საკუთრების უფრო ზუსტი განსაზღვრება შემდეგნაირია: უფლებების ერთობლიობა და შესაბამისი ვალდებულებები, რომლებიც ინდივიდუალურ თავისუფლებასთანაა კავშირში.

ამერიკის კონსტიტუციის მთავარი არქიტექტორის - ჯეიმზ მედისონის მიხედვით ,,საკუთრება ფართო გაგებით მოიცავს და გულისხმობს ყველაფერს, რაც ადამიანისთვის შესაძლოა ღირებული იყოს და რაზეც მას უფლება აქვს, ხოლო ყველა დანარჩენს კი, მსგავს შესაძლებლობას არ უკარგავს“. საკუთრების ქვეშ მედისონი ,,ადამიანების კუთვნილ მიწას, საქონელს, ან ფულს“ გულისხმობდა. აგრეთვე პიროვნების ქონებრივ უფლებებს ,,საკუთარი შეხედულებების ქონასა და მათ გამოხატვაზე“; განსაკუთრებით, ადამიანის უფლებას ,,რელიგიური აღმსარებლობის, და შესაბამისი პროფესიისა და საქმიანობის სახის ნებაყოფლობით არჩევაზე“. გარდა ამისა, პიროვნებას ,,საკუთრების უსაფრთხოებისა და პირად თავისუფლების უფლება აქვს“, ისევე როგორც ,,საკუთარი ნიჭით სარგებლობისა და მისი გამოყენების მიმართულების არჩევანის თავისუფლება“. მოკლედ, რამდენადაც შეიძლება ითქვას, რომ ,,ადამიანს საკუთრების უფლება გააჩნია, იმდენად შეიძლება ითქვას, რომ ის მისივე უფლებების მფლობელიც არის“ .

- ***ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (IEF)***

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი შეიქმნა **Heritage Foundation**-ისა და **Wall Street Journal**-ის მიერ 1995 წელს, რომელიც ეფუძნებოდა ადამ სმიტის ეკონომიკურ თეორიებს. 1995 წლის შემდეგ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მეთოდოლოგია დაიხვეწა და ამჟამად ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი არის კომბინირებული ინდექსი, რომელიც გამოითვლება ათი მაჩვენებლის მიხედვით. თითოეული ქვეყანა ფასდება ამ მაჩვენებლებით და დგინდება, თუ რამდენი პროცენტით აკმაყოფილებს ქვეყანა აღნიშნულ პარამეტრებს. მაჩვენებლები გამოითვლება სხვადასხვა კრიტერიუმების კომბინირებით. აღნიშნული მაჩვენებლები და კრიტერიუმებია:

1. ბიზნესის თავისუფლება - ბიზნესის დაწყების, მართვისა და ლიკვიდაციის პროცესების გამართულობა, პროცედურების სისწრაფე და მოქნილობა, საკანონმდებლო რეგულირების ზომიერება;

2. ვაჭრობის თავისუფლება - სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გავლენა ვაჭრობის პროცესზე, პროდუქციის იმპორტისა და ექსპორტის პროცედურების მოქნილობა და გამართულობა, საბაჟო რეჟიმების ზომიერი საკანონმდებლო რეგულირება;

3. ფისკალური დამოუკიდებლობა - საგადასახადო განაკვეთები და მათი გავლენა როგორც ფიზიკური პირების, ასევე საწარმოების/ორგანიზაციების საქმიანობაზე, საგადასახადო შემოსავლების წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში;

4.მთავრობისგან დამოუკიდებლობა - სამთავრობო ხარჯები, მათ შორის ტრანსფერები, მთავრობის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე უნდა გაიწეოდეს რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯი;

5.მონეტარული დამოუკიდებლობა - ფასწარმოქმნის პროცესები, ფასების სტაბილურობა, ინფლაციის დონე;

6.ინვესტირების თავისუფლება - კაპიტალის მოძრაობის თავისუფლება, ინვესტირების პროცესებისა და პროცედურების გამართულობა;

7.ფინანსური თავისუფლება - საბანკო სექტორის სამთავრობო სექტორისგან დამოუკიდებლობის დონე, სამთავრობო სექტორის მიერ ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების ფლობის დონე;

8. საკუთრების უფლება - ინდივიდუალური პირების მიერ საკუთრების ფლობის თავისუფლების დონე, მარეგულირებელი კანონმდებლობის გამართულობა და მოქნილობა;

9. სახელმწიფოს ჩარევის დონე - ბიზნესის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს მიერ უხეში ჩარევა, სადაც გაითვალისწინება სამთავრობო, საკანონმდებლო, სასამართლო და ადმინისტრაციული ჩარევა.

10. შრომის დამოუკიდებლობა - ინდივიდუალური პირებისა და დამსაქმებლების თავისუფლება შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბებისას სახელმწიფოს ჩარევის გარეშე; შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი კანონდებლობის გამართულობა და მოქნილობა.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ათი მაჩვენებლის კომბინირებით ქვეყნებს ენიჭებათ სარეიტინგო ქულები 0-იდან 100-მდე. ამასთან, ხდება ქვეყნების ეკონომიკის თავისუფლების რანჟირება:

ცხრილი 1.

	შეფასება	ქულა
1	თავისუფალი	80-100
2	ძირითადად თავისუფალი	70-79.9
3	ზომიერად თავისუფალი	60-69.9
4	ძირითადად არათავისუფალი	50-59.9
5	რეპრესირებული	0-49.9

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით საქართველო პირველად შეფასდა 1996 წელს, როდესაც დაიკავა 123-ე ადგილი და მიენიჭა რეპრესირებული ქვეყნის სტატუსი.

- ***რეგრესიული ანალიზი***

იმისთვის რომ დავინახოთ თუ ცალ-ცალკე რა გავლენას ახდენს ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლები IEF- ზე, კონკრეტულად საქართველოსთვის, ავაგეთ რეგრესიული განტოლება, რომელიც ეფუძნება ცხრილის მონაცემებს.[1]

ცხრილი 2

წლები	ეკონომიკური თავისუფლება(Y)	ბიზნესის თავისუფლება(X_1)	ვაჭრობის თავისუფლება(X_2)	ფისკალური დამოუკიდებლობა(X_3)	მთავრობისგან დამოუკიდებლობა (X_4)	ინვესტირების თავისუფლება (X_5)	ფინანსური თავისუფლება(X_6)	საკუთრების უფლება (X_7)	სახელმწიფოს ჩარევის დონე (X_8)
1996	44.1	55	69	92	61.3	50	30	30	10
1997	46.5	55	69	92	82.3	50	30	30	10
1998	47.9	55	69	91.7	95.5	50	30	30	10
1999	52.5	55	69	91.3	86.6	50	30	30	10
2000	54.3	55	69	90.8	86.8	50	30	30	10
2001	58.3	55	75.6	90.9	89.2	50	30	50	23
2002	56.7	55	79.2	90.7	85.5	50	30	30	23
2003	58.6	55	64.8	90.6	88.9	50	50	30	23
2004	58.9	55	65.2	90.6	90.1	50	50	30	24

[1] წყარო: www.heritage.org

2005	57.1	55	65.2	89.9	90.5	30	50	30	18
2006	64.5	73.9	67.6	94.1	90.8	50	70	30	20
2007	69.3	88	71.8	91.2	88.4	60	70	30	23
2008	69.2	85	71	90.7	81.3	70	60	35	28
2009	69.7	86.6	86	86.8	74.6	70	60	35	34
2010	70.4	87.9	89.1	89.1	65.3	70	60	40	39
2011	70.4	87.3	89.2	87.5	60.3	70	60	40	41
2012	69.4	86.9	89.2	87.8	55.8	70	60	40	38
2013	72.2	90.6	89.2	88.2	68.9	75	60	45	41
2014	72.6	87.8	88.6	87.3	69.7	80	60	40	42.8

$$Y = 39.67207 + 0.3151746 \cdot x_1 - 0.074324 \cdot x_2 - 0.2747858 \cdot x_3 + 0.1983783 \cdot x_4 - 0.0552935 \cdot x_5 + 0.0745947 \cdot x_6 + 0.0741239 \cdot x_7 + 0.4543471 \cdot x_8 + u \qquad R^2 = 0.9671$$

ცხრილი 3

ცვლადები		კოეფიციენტები	სტანდარტული შეცდომები
ბიზნესის თავისუფლება	X_1	0.3151746	0.2350919
ვაჭრობის თავისუფლება	X_2	- 0.074324	0.252672
ფისკალური დამოუკიდებლობა	X_3	- 0.2747858	0.5929528
მთავრობისგან დამოუკიდებლობა	X_4	+ 0 .1983783	0.069322
ინვესტირების თავისუფლება	X_5	- 0.0552935	0.1553196
ფინანსური თავისუფლება	X_6	0.0745947	0.2109731
საკუთრების უფლება	X_7	0.0741239	0.1621654
სახელმწიფოს ჩარევის დონე	X_8	0.4543471	0.2778141

ჩვენ მიერ, აგებული რეგრესიული მოდელი ადეკვატურად აღწერს შედეგობრივ ცვლადთან ფაქტორული ცვლადების დამოკიდებულებას, რადგან დეტერმინაციის კოეფიციენტი ($R^2 = 0.9671$) მეტია 8-ზე, ხოლო დისპერსიის ზრდის ფაქტორული ინდექსი ($VIF \approx 30,4$.) მეტია 10-ზე; ეკონომისტ გუჯარატის აზრით კი, თუ ინდექსი 10-ზე მეტია ნიშნავს, რომ მოდელში განხილული ცვლადების ოპტიმალური რაოდენობაა შერჩეული. საგულისხმოა სახელმწიფოს ჩარევის დონის კოეფიციენტის მნიშვნელობა, იგი სხვა დანარჩენ ცვლადების კოეფიზიენტებზე მაღალია და თითქმის ანალოგიურად, ბიზნესის

თავისუფლების ინდექსის ზღვრული მიდრეკილება ეკონომიკურ თავისუფლებასთან მიმართებაშიც შედარებით მაღალია. ეს ფაქტები, იმით აიხსნება, რომ სახელმწიფოს მცირედი ჩარევაც კი ეკონომიკურ პროცესებზე მნიშვნელოვნად მოქმედებს, ასევე შეგვიძლია ვთქვათ ბიზნესის თავისუფალ ფუნქციონირებაზე.

- ***გრაფიკული ანალიზი***

ნახ.1



ნახ.1-ზე მოცემული გრაფიკი აღწერს საქართველოში თავისუფლების აგრეგირებული ინდექსის მოძრაობას 1996-2014 წლებში. გრაფიკზე გავლებული წრფე კი **92%** სიზუსტით მიუთითებს, რომ ამ პერიოდში ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა და თავისუფალი სავაჭრო სივრცე საშუალოდ 1,5-ის ტოლი ნაზრდით უმჯობესდებოდა, ასევე საინტერესოა 2003, 2005 და 2012 წლები იმით თუ, რა მიზეზებით აიხსნებოდა ინდექსის მკვეთრი ცვლილება.

2003 წელს, ვარდების რევოლუციის შედეგად, ინდექსმა დაახლოებით **3,3%**-ით მოიმატა, რაც არნახულად დაეტყო ეკონომიკის გაჯანსაღებას და ამავე დროს მის ზრდაზე არსებითი როლი ითამაშა საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეკორდულმა - **103%**-მა ზრდამ.

2005 წელს, ინდექსის **3%**-ით შემცირება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების **10%**-ით შემცირებას დაემთხვა და გარდა ამისა კორუფციის ინდექსმა **25%**-ით მოიმატა.

2012 წელს, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ თავისუფლების ინდექსის გრაფიკი აღმავალი, წრფივი ტრენდის ქვემოთ აღმოჩნდა და შესაბამისად ინდექსის ზრდის ტემპი შემცირებისკენ წავიდა.

- ***მთავრობის როლი ეკონომიკური თავისუფლების განვითარებაში***

ადამ სმითის კლასიკურ ნაშრომში „ხალხთა სიმდიდრის ბუნების შესახებ" დასახელებული იყო ქვეყნების და მათი მოსახლეობის აყვავების ძირითადი პირობები: კარგი კანონები, გადასახადები, რომლებიც მძიმე ტვირთად არ აწვება მოსახლეობას და მშვიდობა - სამეურნეო საქმიანობის თავისუფლების კანონიკური განსაზღვრების ძირითადი კომპონენტებია. იქვე იყო ფორმულირებული ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი წესი: რაც უფრო ნაკლებად ერევა სახელმწიფო ეკონომიკურ საქმიანობაში, მით უფრო უკეთესია ეკონომიკისთვის.

ბაზრის მონაწილეთა ეკონომიკურ თავისუფლებას ზღუდავენ სახელმწიფო და ასევე მასთან კონკურირებადი არასახელმწიფო პირები. სახელმწიფო ეკონომიკურ თავისუფლებას ისეთი ინსტრუმენტების საშუალებით ზღუდავს, როგორებიცაა კერძო საკუთრების კონფისკაცია, კონტრაქტების შეუსრულებლობა, სამეურნეო საქმიანობის არათანაბარი და არაპროგნოზირებულად ცვალებადი პირობები, პირდაპირი სახელმწიფო გადასახადები, სახელმწიფო სესხები, სახელმწიფო ინფლაციური გადასახადები, სახელმწიფო ხარჯები, საბიუჯეტო დეფიციტი და სახელმწიფო ვალები, ინფლაცია, რეგრესული სავალუტოფულადი პოლიტიკა, სახელმწიფო რეგულირება, პროტექციონიზმი.

ეკონომიკური პროცესების რეგულირებისას სახელმწიფო ფინანსურ რესურსებს ბიუჯეტის გვერდის ავლით გადაანაწილებს. ნორმების, წესების, შეზღუდვების, კვოტების, შეღავათების, ნებართვების, გამონაკლისების და სხვათა დაწესებით იგი ეკონომიკური რესურსების მოძრაობის მიმართულებებსა და მასშტაბებს ცვლის, რითაც მათ ნაკლებად ეფექტიანს ხდის. მაგალითად, სამომხმარებლო საქონელზე და ,,ბუნებრივ'' მონოპოლიებად წოდებულ საქონელსა და მომსახურებზე ფასების რეგულირებისას, სახელმწიფო ერთი საქონლის სუბსიდირებას მეორე საქონლის გაძვირების ხარჯზე ხელოვნურად ახდენს, რითაც მომხმარებელთა უპირატესობების ორიენტირებს ამრუდებს და მოთხოვნის სტრუქტურის ადაპტაციას ამუხრუჭებს.

- ***დასკვნა***

ეკონომიკურად თავისუფალი ქვეყნები წარმატებებს მხოლოდ ეკონომიკური ზრდის სფეროში არ აღწევენ, პრაქტიკულად, სოციალური და ადამიანის განვითარების ყველა ტრადიციულად გამოყენებადი მაჩვენებელი მათში გაცილებით უკეთესია ვიდრე ეკონომიკურად არათავისუფლებში.

ეკონომიკური კანონმდებლობის მუდმივი ცვლილებები და ეკონომიკური განვითარების უმთავრესი კოორდინატების არასტაბილურობა (ინფლაციის ტემპები, სავალუტო კურსის საპროცენტო განაკვეთები, გადასახადების რაოდენობა და განაკვეთი, საბაჟო ტარიფები და სხვა რეგულაციები) ზღუდავს ბაზრის მონაწილეთა ეკონომიკურ თავისუფლებას, ამცირებს მათ სამეურნეო აქტივობას, ანელებს ეკონომიკურ ზრდას. სამეურნეო საქმიანობის წარმოებისთვის სტაბილური და განჭვრეტადი პირობები ეკონომიკური თავისუფლების მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტებია.

როგორც გენიალურმა ფრანგმა ლიბერალმა ფრედერიკ ბასტიამ 1850 წელს დაწერა, როდესაც კანონი და ძალაუფლება ადამიანს სამართლის ბორკილებს ადებს, ეს მისი მხრიდან მხოლოდ უარყოფას იწვევს. ისინი ადამიანს მხოლოდ სხვისთვის ზიანის მიყენებისგან თავის შეკავების ვალდებულებას უწესებენ, მაგრამ მის პიროვნულ თვითმყოფადობას, თავისუფლებას ან საკუთრებას არანაირად არ ზღუდავენ. ეს შეზღუდვები უბრალოდ სხვების თვითმყოფადობას, თავისუფლებას და საკუთრებას იცავს. შეზღუდვებს დაცვითი ფუნქცია აქვთ, ისინი თითოეული პიროვნების თანასწორუფლებიანობის სადარაჯოზე დგანან. შეზღუდვები ასრულებენ მისიას, რომლის უვნებლობა ნათელია, სარგებლიანობა თვალსაჩინო, ხოლო კანონიერება კი - უდაო.

გამოყენებული ლიტერატურა

1) „ რეფორმები და თავისუფლება“, თავისუფლების ბიბლიოთეკა.
2) „თავისუფლება და საკუთრება“, თავისუფლების ბიბლიოთეკა.
3) „თვისუფლების მოაზროვნეები“, თავისუფლების ბიბლიოთეკა.
4) “Economic Freedom of the world “, James Gwartney, Robert Lawson & Joshua Hall
5) http://thf_media.s3.amazonaws.com/2014/pdf/Index2014_Highlights.pdf
6) http://www.heritage.org/index/
7) http://www.tavisupleba.mobi/a/ekonomikuri-tavisupleba/26643850.html
8) http://www.24saati.ge/news/story/34949-ekonomikuri-tavisufleba-saqartveloshi

ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა

თამილა იაკობაძე - ბაკალავრიატი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკური განვითარება არის ეკონომიკის გადასვლა თვისებრივად ახალ, უფრო სრულყოფილ მდგომარეობაში. ხშირად ცნებები "ეკონომიკური განვითარება" და "ეკონომიკური ზრდა" გაიგივებულია, რაც არასწორია, ვინაიდან პირველი ასახავს თვისებრიობას, ხოლო მეორე _ მხოლოდ რაოდენობრიობას. Mმოკლევადიან პერიოდში ეს ორი პროცესი შესაძლებელია, ერთმანეთის გარეშე არსებობდეს. გრძელვადიან პერიოდში კი, სწორედ ეკონომიკური განვითარება ქმნის განუსაზღვრელ პირობებს ეკონომიკური ზრდისათვის.

რა არის განვითარების მიზანი? ეკონომიკური განვითარების მიზანია ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლება, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა მაჩვენებელში გამოიხატება. უპირველეს ყოვლისა, ეს არის არსებობისათვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების (სურსათი, საცხოვრებელი ბინა, ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხოება) წარმოების ზრდა, მეორე, ცხოვრების დონის ამაღლება (კომფორტი, დასვენება, განათლება, კულტურა, ეთიკა, ესთეტიკა, სულიერი სიმდიდრე) და, მესამე, თავისუფლება (არჩევანის უფლება, კანონის უზენაესობა).

ეკონომიკური განვითარების პროცესზე არაერთი ფაქტორი ახდენს გავლენას, მათგან აღსანიშნავია: მეცნიერება, განათლება, ტექნოლოგია, გამოგონება, ინოვაცია, მეწარმეობრივი უნარი, ადამიანისეული კაპიტალი, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, ფიზიკური კაპიტალი, ენერგეტიკა, ინსტიტუტები და მრავალი სხვა.

ეკონომიკური განვითარების საფუძველთა საფუძველია აღმოჩენები, უპირველეს ყოვლისა, ფუნდამენტურ, შემდეგ კი გამოყენებით მეცნიერებებში. მეცნიერულ აღმოჩენაში იგულისხმება ისეთი სიახლე, რომელიც ნათელს ჰფენს ბუნების ან ადამიანთა საზოგადოების განვითარების დღემდე ამოუცნობ კანონზომიერებებს და ამით ძირეული ცვლილებები შეაქვს სამყაროს შემეცნებაში. გამოგონება კი მეცნიერების განვითარების უკვე მიღწეული დონის

ფარგლებში დაგროვილ ცოდნაზე დამყარებული სიახლეა. ინოვაცია კი არის სიახლის წარმოებაში დანერგვის პროცესი,რომელსაც მოჰყვება პროგრესული ცვლილებები ან ტექნიკაში, ან წარმოების ორგანიზაციის ფორმებსა და მეთოდებში, ან ადამიანებში (ადამიანისეულ კაპიტალში), ან ინსტიტუციებში (სახელმწიფო და საბაზრო ინსტიტუტებში, ტრადიციებში, სამართლებრივ და კულტურულ ნორმებში და ა.შ.) და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესი _ ეს არის ეკონომიკაში ინოვაციათა განხორციელების პროცესი, რომელიც მოიცავს მის ყველა მხარეს (პროდუქციის ახალი სახეობები, გასაღების ახალი ბაზრები, წარმოების, ახალი საშუალებები, ახალი ადამიანისეული კაპიტალი და ა.შ.).

ტექნოლოგიური პროგრესი ხორციელდება ინოვაციების მეშვეობით, რომელსაც მივყავართ მწარმოებლურობის ამაღლებასთან, ადამიანის როლისა და ფუნქციების შეცვლასთან წარმოების პროცესში, ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობათა ზრდასთან. მეცნიერება-გამოგონება-ინოვაცია - წარმოების ჯაჭვში განათლების პროცესს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან თითოეულ ამ რგოლს მაღალგანვითარებული მუშაკები (მეცნიერები, გამომგონებლები, მეწარმეები) ესაჭიროება. განათლება ეკონომიკაზე გავლენას ახდენს, როგორც სამუშაო ძალის მწარმოებლურობის ამაღლების უმთავრესისაშუალება. მაგრამ მისი გავლენა ეკონომიკაზე ამით არ ამოიწურება. განათლება ასევე ზემოქმედებს მომხმარებელზედაც, ზრდის რა მათ გემოვნებასა და მოთხოვნილებებს, რაც, თავის მხრივ, სრულყოფს და აფართოებს ბაზარს.

მეწარმე არის სამეურნეო სუბიექტი, რომლის მთავარი ფუნქციაცაა ინოვაციების განხორციელება და რომელიც წარმოების აქტიურ ელემენტს წარმოადგენს. Mმაგრამ, მეწარმე ინოვაციური პროცესის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი იყენებს ტექნოლოგიურ ცოდნას, არამედ იმიტომ, რომ იგი, ხშირ შემთხვევაში, თავად არის ახალი იდეის ავტორი.

ადამიანისეული კაპიტალის სრულყოფა იწვევს დადებით გარეგან ეფექტს. განათლებულ ადამიანს მეტი შესაძლებლობები აქვს ახალი იდეების შესამუშავებლად, რომელიც მიმართულია როგორც ტექნოლოგიის სრულყოფის, ასევე მართვისა და ორგანიზაციის ახალი მეთოდების შემუშავებისაკენ.

ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გამოყენებული ენერგო რესურსების რაოდენობასა და ენერგიის ახალი სახეობის ათვისებაზე. იგი უდიდეს გავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების,წარმოების, გაცვლისა და მოხმარების პროცესებზე, აუმჯობესებს შრომისა და ცხოვრების პირობებს, ზრდის მათ კომფორტაბელურობას და ა.შ.

უმუშევრობა წარმოადგენს მაკროეკონომიკურ პრობლემას, რომელიც დიდ გავლენას ახდენს როგორც მთელ ეკონომიკასა და საზოგადოებზე, ასევე ცალკეულ სამეურნეო ობიექტებსა და თითოეულ ადამიანზე.Mმას, გარდა ეკონომიკურისა, აქვს სოციალური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და ა.შ. დატვირთვა. მაშასადამე, უმუშევრობა დიდგავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება შემდეგში: უმუშევრობა (განსაკუთრებით ხანგრძლივვადიანი) ამცირებს საზოგადოების ადამიანისეული კპიტალის სიდიდეს, ვინაიდან უმუშევარი ადამიანის კვალიფიკაციის დონე, ფიზიკური და გონებრივი უნარი თანდათან ქვეითდება; უმუშევრობის დროს, ადგილი აქვს რა გამომუშავებული პროდუქციის დანაკარგებს, მცირდება დანაზოგების მოცულობა, რაც ამცირებს ინვესტიციებს, მათ შორის, ინვესტიციებს ინოვაციებზე. ასევე მცირდება სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მხრიდან, რაც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკური განვითარების პროცესებზე არა მხოლოდ მოკლევადიან, არამედ გრძელვადიან პერიოდშიც; უმუშევრობა, აძლიერებს რა შემოსავლების უთანაბრობასა და სოციალურ დაძაბულობას, გარდა რესურსების გამოუყენებლობით გამოწვეული დანაკარგებისა, იწვევს დამატებით დანაკარგებს (ინვესტიციების შემცირებას), რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და კრიმინოგენური დაძაბულობის ზრდასთან, მაგრამ უმუშევრობის მაღალი დონე თავად ეკონომიკურ განვითარებაში არსებული როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ძვრების შედეგია. პირველი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ბაზრისა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ნაკლოვანებებთან. უმუშევრობის დროს ეკონომიკა შეიძლება იმყოფებოდეს მაკროეკონომიკური წონასწორობის, მაგრამ არა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პირობებში, რაც ბაზრისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებაა და რის გამოსწორებაც მხოლოდ სახელმწიფოს სწორი ჩარევის შედეგადაა შესაძლებელი. ამისათვის აუცილებელია, მთავრობას გააჩნდეს დასაქმების რეგულირების მექანიზმი და, შესაბამისად, განვითარებული ინფრასტრუქტურა. დასაქმების რეგულირების მექანიზმი უნდა მოიცავდეს

სამართლებრივსაფუძვლებს, რეგულირების ინსტრუმენტებს, ინდიკატორთა სისტემას, რეგულირების ღონისძიებათა სისტემას, შესაბამის მარეგულირებელორგანოებს. ეკონომიკური წყობილების შეცვლასთან ან ინოვაციების დანერგვასთან.Oორივე შემთხვევაში აუცილებელი ხდება სახელმწიფოს ჩარევა უმუშევრობის დონის შესამცირებლად. მიგვაჩნია, რომ ასეთ შემთხვევში სახელმწიფომ უნდა გაატაროს არა ინფლაციური პროცესების მაპროვოცირებელი პოლიტიკა, არამედ იმინოვაციების მასტიმულირებელი პოლიტიკა, რომელიც გაზრდის წარმოების მოცულობას ძველის გაფართოებისა და ახალი ეკონომიკური სფეროების ათვისების მეშვეობით. უმუშევრობის პრობლემის განხილვა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია წლების განმავლობაში დამკვიდრებული, უმუშევრობასთან დაკავშირებული განსაზღვრებების ახლებურ გააზრებასა და მათში გარკვეული დაზუსტებების შეტანასთან. ჩვენი აზრით, არასწორია, როდესაც "უმუშევარის" განმარტებებში ძირითადი აქცენტი გადაიტანება ადამიანის გადაწყვეტილებაზე; სურს თუ არა მას მუშაობა. განმარტებაში ასეთი მოთხოვნის არსებობა განპირობებულია იმით, რომ განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ განისაზღვრება უმუშევრის სტატუსი და ამ სტატუსის მიღებისათვის აუცილებელია, ადამიანს მუშაობის სურვილი ჰქონდეს. ამ მოსაზრებას იზიარებს მეცნიერთა ნაწილი. მაგალითად, ედვინი, ასევე საკამათოა საკითხი იმის შესახებ, ითვლებოდეს თუ არა უმუშევრად არასრულად დასაქმებული ადამიანები. ოფიციალური სტატისტიკა მათ თვლის დასაქმებულად, მეცნიერთა ნაწილს კი ამის საწინააღმდეგო მოსაზრება გააჩნია. რასაკვირველია, მეცნიერთა ეს მოსაზრება ანგარიშგასაწევია, მაგრამ, ალბათ, ამ დროს გასათვალისწინებელია შემოსავლის სიდიდე _ პიროვნება უმუშევრად უნდა ჩაითვალოს მაშინ, როდესაც არასრული დასაქმების დროს შემოსავალი სიღარიბის დადგენილ ზღვარს ქვემოთაა. ჩვენი აზრით, უმუშევრად უნდა ითვლებოდეს პირი, რომელსაც შეუსრულდა სამუშაო ასაკი, არ ეწევა სასარგებლო საქმიანობას (არ მუშაობს, არ სწავლობს, არ იმყოფება სავალდებულო სამხედრო სამსახურში, არ არის დაკავებული საოჯახო მეურნეობით), არ იმყოფება სპეციალიზებულ დაწესებულებებში, არ არის ინვალიდი ან საპენსიო ასაკის. ეს განმარტება ეფუძნება სამართლებრივ, ეკონომიკურ და მორალურ ნორმებს და არა ცალკეული პიროვნების სურვილს, იმუშაოს თუ არა. თუ ამ განმარტებას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ, იმისდა მიხედვით, აქვს თუ არა სურვილი უმუშევარს იმუშაოს, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ

აქტიური (რომელიც დაეძებს სამუშაოს) და პასიური (რომელიც არ დაეძებს სამუშაოს) უმუშევარი. ინვალიდები და საპენსიო ასაკის პირები, ბუნებრივია, არც ერთ ამ კატეგორიას არ უნდა მიეკუთვნებოდნენ. თუ მათ იშოვეს სამუშაო, მაშინ ისინი დასაქმებულთა რიგებში აღმოჩნდებიან შემოთავაზებული განმარტების თანახმად, უმუშევრობის დონე განისაზღვრება უმუშევართა (აქტიურ და პასიურ) რიცხოვნობის ფარდობით მომუშავეთა და უმუშევართა (აქტიურ და პასიურ) საერთო რაოდენობასთან, გამოსახული პროცენტობით. ინტერესს არ იქნება მოკლებული, თუ ჩვენ გამოვითვლით უმუშევრობასთან დაკავშირებულ სხვა მაჩვენებლებსაც. მაგალათად, პასიური უმუშევრების რაოდენობის თანაფარდობა აქტიური უმუშევრების ან, საერთოდ, უმუშევრების რაოდენობასთან, ეკონომიკურად პასიური მოსახლეობის რაოდენობის ფარდობას ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისან საერთოდ ეკონომიკური მოსახლეობის რაოდენობასთან და ა. შ რაც შეეხება ტერმინს _ ”სამუშაო ძალა”, იგი პრაქტიკაში თითქმის არ გამოიყენება, ხოლო ეკონომიკურ ლიტერატურაში მისი გაგება არაერთგვაროვანია. ზოგს მიაჩნია, რომ ის არის განსაკუთრებული საქონელი (მაგ., მარქსი და მისი მიმდევრები) , ზოგის აზრით, იგი საზოგადოების ის ნაწილია, რომლებიც მუშაობენ ან ეძებენსამუშაოს. ე.ი. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სამუშაო ძალის (გაგებული, როგორც ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ უნართა ერთობლიობა) ჩათვლა საქონლად არასწორია, ვინაიდან საქონელი არის პროდუქტი, რომელიც დამზადებულია გასაყიდად და გაყიდვის შემდეგ იგი იცვლის მესაკუთრეს.წარმოებისპროცესში ადგილი აქვს არა პიროვნების უნარის გაყიდვას, არამედ მის დაქირავებას, ვინაიდან უნარის მესაკუთრედ კვლავ ეს პიროვნებ არჩება და მისი უნარი არათუ მცირდება, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, იზრდება კიდევაც. უნარი რომ გაიყიდოს, მაშინ მისი მესაკუთრე ადამიანიც უნდა გაიყიდოს. ასეთ ურთიერთობებს ადგილი ჰქონდა მონათმფლობელური წყობილების დროს. თანამედროვე პირობებში კი, ასეთი ურთიერთობების წარმოდგენაც კი მიუღებელია. მაშასადამე, მუშაკი კი არ ყიდის თავის უნარს, არამედ იყენებს მას წარმოების პროცესში (შრომობს) მესაკუთრის სასარგებლოდ, რისთვისაც იღებს გასამრჯელოს. ვინაიდან ადამიანის უნარის გამოსახატავად თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს ტერმინი _ “ადამიანისეული კაპიტალი”, ამდენად უფრო გამართლებულია სამუშაო ძალა ვიხმაროთ მხოლოდ მეორე გაგებით, ანუ, როგორც დასაქმებულთა და უმუშევართა რაოდენობა. უმუშევრობის ბუნებრივი დონე

ლიტერატურაში გაიგივებულია სტრუქტურული და ფრიქციული უმუშევრობის დონესთა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უმუშევრობის ბუნებრივი დონე არის უმუშევრობის ის დონე, როდესაც ეკონომიკა იმყოფება ბუნებრივ მდგომარეობაში და, მისი სახელმწიფო რეგულირების გაძლიერების შემთხვევაშიც კი, უმუშევრობის დონის უფრო ნაკლები მნიშვნელობის მიღწევა შეუძლებელია. მართალია, ბუნებრივი უმუშევრობის მიზეზი სტრუქტურულიდა ფრიქციული უმუშევრობაა, მაგრამ ხშირად, შესაძლოა,სტრუქტურული და ფრიქციული უმუშევრობის დონე არ ემთხვეოდეს უმუშევრობის ბუნებრივ დონეს (ანუ უმუშევრობის მაქსიმალურად შესაძლო დაბალ დონეს), ანუ მეტი იყო მასზე. ამ მოსაზრებას იზიარებენ ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებითშვედეთში, სადაც მიაჩნიათ, რომ უმუშევრობის დონე მისი გარკვეული სოციალური და ფსიქოლოგიური დაძაბულობის პრობლემასთან, რაც, საბოლოო ანგარიშით, ნეგატიურ გავლენასახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე.

მართალია, რიგ შემთხვევაში ინოვაციები იწვევს უმუშევრობას,მაგრამ ისტორიულ ჭრილში სწორედ ინოვაციების მეშვეობით ხდებაუმუშევრობის დონის შემცირება, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდისპირობებშიც კი, ზრდის რა იგი შრომის ზღვრულ პროდუქტს. ინოვაციას თან უნდა მოჰყვეს წარმოების გაფართოება, რაც ისევინოვაციების გზით მიიღწევა, იწვევს რა წარმოების ძველი სფეროებისგაფართოებას და ახლის ათვისებას, მოთხოვნის გაზრდას და ა. შ. დასაქმების რეგულირების უპირველეს ღონისძიებას წარმოადგენსშრომის ბაზრის ინსტიტუციური მოწყობა, რაც გულისხმობს შრომისბირჟის, დასაქმებისა და მიგრაციის სახელმწიფო სამსახურის, დასაქმებისფონდის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობას. მათი მეშვეობითშესაძლებელი გახდება თავისუფალი სამუშაო ადგილების (ვაკანსიების) და უმუშევართა (პასიურ და აქტიურ) აღრიცხვა; კონსულტაციებისგაწევა უმუშევართათვის სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებულსაკითხებზე; უმუშევრებისათვის დახმარებების გაცემა; მოქალაქეთა პროფესიული მომზადება და გადამზადება; შრომის ბაზარზე მდგომარეობისშეფასება (ეკონომიკური და არაეკონომიკური, ეკონომიკურად აქტიური და ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რაოდენობის დადგენა და ა.შ.); შრომით ემიგრანტთა და იმიგრანტთა აღრიცხვა, შესაბამისიინფორმაციის მომზადება და სხვ.გარდა ინსტიტუციური უზრუნველყოფისა, უმუშევრობის შემცირებისმიზნით უნდა განხორციელდეს ღონისძიებები, რომელიც უმუშევრობისშემცირებას გამოიწვევს არა ინფლაციის ზრდის, არამედ

ფასებისსტაბილურობის პირობებში. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ეკონომიკურპოლიტიკას, რომელიც ეკონომიკას გადააადგილებს არა ფილიპსისმრუდზე, არამედ, რომელიც გამოიწვევს თვით ფილიპსის მრუდის გადაადგილებებს ისეთ წერტილებში, სადაც უმუშევრობის დონე კლებულობს,ხოლო ფასების საერთო დონე უცვლელია ან უმნიშვნელო (უმუშევრობის შემცირებისაკენ მიმართული ინოვაციური პოლიტიკა), რომელიც უზრუნველყოფს ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდებისდაახლოებით ერთნაირი ტემპებით ზრდას. სხვაგვარად რომვთქვათ, პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპები წინ უნდა უსწრებდეს და მატულობს. ეს E მიიღწევა ისეთი ინოვაციური პროგრამების სტიმულირებითხოლო ხელფასების ზრდის ტემპები ჩამორჩებოდეს შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებს, სანამ უმუშევრობის რეალური დონე არ გაუტოლდება მის ბუნებრივ დონეს. Eეს მიიღწევა წარმოებისა და მომსახურების არსებული დარგების გაფართოებით და მათი ახალი სფეროების ათვისებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. თბ., “მერიდიანი”, 2006.
2. გრეგორი მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. თბ., “დიოგენე”, 2008.
3. ჩიქავა ლ. უმუშევრობა საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.ჟ. “მაკრო მიკრო ეკონომიკა”, 6, 1998.
4. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. თბ., “სიახლე”, 2004.
5. Большая экономическая энциклопедия. М., Эксмо, 2008.
6. . **Линвуд Т. Гайгер.** Макроэкономическая теория и переходная экономика. М., ИНФРА-М, 1996.
7. **Эдвин Дж. Долан, Дэйвид Е. Линдсей.** АОЗТ « Литера плюс», 1994.
8. **Дорнбуш Р., Фишер С.** Макроэкономика. М., ИНФРА-М, Изд. Московского Университета, 1997.

9. **Н. Грегори Менкью.** Макроэкономика. М., Изд. Московского Университета, 1994.
10. **Сакс Дж.Д., Ларрен Ф.Б.** Макроэкономика. Глобальный подход. М., Дело, 1996.
11. **Румянцева Е.Е.** Новая экономическая энциклопедия. М., ИНФРА-М, 2008.
12. **Шумпетер Й.** Теория экономического развития. М.,Прогресс, 1982.
13. **Blanchard O.** Macroeconomics, 2nd edition, Prentice Hall, 2000
14. **Romer David.** Advansid macroeconomics.NY.: McGraw-Hill, 1996.
15. statistikuri weliwdeuli 2009. saqarTvelos statistikis departamenti, 2009.
16. World Statistics Pocket book 2008. United Nations, NewYork, 2009.

თავისუფლება და ეკონომიკური თავისუფლება

მერი ნამგალაძე - ბაკალავრიატი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანა ხაჟომია - ბაკალავრიატი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახელმწიფოს ღერძი არის თავისუფალი ადამიანი, ეკონომიკური სისტემისა კი ეკონომიკური თავისუფლება. თავისუფლება ის ძირითადი ელემენტია, რომელმაც მთელი კაცობრიობის ისტორიაში პროგრესი შვა და საზოგადოება დღემდე მოიყვანა. თავისუფლება სწორედ ის ძირითადი ქვაკუთხედია, რომელიც აერთიანებს პერსონებს და ქმნის საზოგადოებას, ერთობას, ძალას. ამასთან მას შემოქმედებითი ძალა აქვს, ხოლო საზოგადოების გარეშე ვერ შეიქმნება სახელმწიფო მითუმეტეს ვერ განვითარდება შემოქმედებითი სულის გარეშე.

თავისუფლება ყველა სფეროში ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია და შესაბამისად ის ეკონომიკაშიც განმსაზღვრელ როლს თამაშობს. სანამ მსოფლიო ეკონომიკურ თავისუფლებას მიაღწევდა მან საკმაოდ რთული გზა განვლო. მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების პროცესი უშუალოდ უკავშირდება კაპიტალიზმის განვითარებას. მე - 19 საუკუნეში, როცა კაპიტალიზმის განვითარება დაჩქარდა და დიდი ბრიტანეთის ბატონობის პირობებში, ე.წ. „თავისუფალი ვაჭრობის“ სისტემა ფუნქციონირებდა, საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემასაც. კაპიტალიზმის განვითარება იმავე საბაზრო ეკონომიკის განვითარება იყო, მაგარამ საბაზრო ეკონომიკა არც ეროვნულ და არც საერთაშორისო მასშტაბით თავისთავად ვერ განვითარდება, ამისათვის ზოგიერთი სხვა პირობა რომ არ შექმინილიყო. ერთ-ერთი ასეთი პირობა კი იყო ლიბერალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ლიბერალიზმისათვის კი 3 ძირითად პრინციპს წარმოადგენდა: 1) კერძო საკუთრება, 2) თავისუფალი მეწარმეობა და 3) თავისუფალი კონცეფცია. ზოგადად ეკონომიკური ლიბელარიზმი ემყარებოდა „ლესე ფერ“ (ნუ ჩაერევით) დოქტრინას, რომლის ფორმულა პირველად წარმოადგინა ფრანგმა კომერსანტმა ლეჟანდრემ და განავითარა ვინსენტ დე გურნემ (1712-1759წწ.) იგი მოითხოვდა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების

დამაბრკოლებელი ხელოვნური შეზღუდვების ლიკვიდაციას, მოქმედების თავისუფლების დაცვას. მან საბოლოოდ ჩამოაყალიბა ფორმულა „ლესე ფერ, ლესე პასე“ (დაე საქმე თავის გზით წარიმართოს) იგი ნიშნავს: თავისუფალ მეწარმეობას , ეკონომიკური ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპების ერთობლიობას. (შრომის თავისუფლება, თავისუფალი კონკურენცია, თავისუფალი ვაჭრობა). ამათგან კი ყველაზე მნიშვნელოვან როლს სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში თამაშობს თავისუფალი ვაჭრობა.

თავისუფალი ვაჭრობა ეს არის ერთგვარი კორიდორი მსოფლიოს ქვეყნებს შორის, რომელიც ორიენტირებულია მასში მონაწილე ყველა ქვეყანამ მიიღოს მაქსიმალური სარგებელი. ეს პირობა თითქოს მარტივია, მაგრამ მის განსახორციელებლად საჭიროა დიდი ძალისხმევა, მრეწველობის ინფრასტრუქტურის, საკანონმდებლო ბაზის, საერთაშორისო შეთანხმების მიღწევის და ადმინისტრაციული მართვის სფეროში.

როგორც ვიცით, ეკონომიკის 10 პრინციპიდან ერთ-ერთი მდგომარეობს იმაში, რომ ვაჭრობას შეუძლია ყველას ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მიუხედავად იმისა სახელმწიფო საქონლის იმპორტიორია თუ ექსპორტიორი.

თავისუფალი ვაჭრობა ქვეყნებს შორის საქონლისა და მომსახურების დაუბრკოლებელ მიმოცვლას გულისხმობს. პრაქტიკაში თავისუფალი ვაჭრობა ნიშნავს ვაჭრობას დისკრიმინაციის გარეშე - იმპორტზე დაბალი საბაჟო გადასახადი და კვოტების აკრძალვა, სოფლის მეურნეობის სუფსიდიების შემცირება ან საერთოდ უარის თქმა. თავისუფალი ვაჭრობა იწვევს კონკურენციის ზრდას, რაც შესაბამისად ხელს უწყობს ინოვაციური მიდგომების განვითრებას ეს კი თავის მხრივ ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის ფაქტორია, რაც უფრო მაღალია ეკონომიკური ზრდა სხვა თანაბარ პირობებში მით უფრო აქტიურია საერთაშორისო ვაჭრობა.

არსებობს გარკვეული არგუმენტები, რის გამოც ზოგიერთი სახელმწიფო უარს ამბობს თავისუფალ ვაჭრობაზე. ესენია:

- სამუშაო ადგილების არგუმენტი;
- ახალგაზრდა დარგების არგუმენტი;
- ეროვნული უსაფრთხოების არგუმენტი;
- უსამართლო კონკურენციის არგუმენტი.

მართალია, ამ არგუმენტებს ზოგ შემთხვევაში გარკვეული ღირსებები აქვთ სახელმწიფოს ეკონომიკური განვითრებისთვის თავისუფალი ვაჭრობა მაინც ერთ-ერთი საუკეთესო პოლიტიკაა.

მიუხედავად გარკვეული რისკებისა ჩვენი ქვეყანა ირჩევს თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკას, მაგრამ ამ პოლიტიკის განხორცილებამდე მან როგორც სხვა განვითრებადმა ქვეყნებმა საკმაოდ რთული გზა განვლო.

საბჭოთა კავშირის დაშლის პირველ წლებში, 1990-1995 წლების პერიოდში ქართულმა ეკონომიკამ მკვეთრი დაცემა განიცადა, მაგრამ სირთულეების მიუხედავად, გამოიკვეთა სხვადასხვა მიდგომები ეკონომიკურ პოლიტიკაში, რომელიც ეკონომიკაში საბაზრო პრინციპების დანერგვას გულისხმობდა. ამ მხრივ აღსანიშნავია, მიწების და საცხოვრებელი ბინების პრივატიზაცია, ფასების ლიბერალიზაცია, ფინანსური ინსტიტუტების ფორმირება და ა.შ. 1995 წლისათვის ქვეყანამ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით მოახდინა ჰიპერინფლაციის შეჩერება და ეროვნული ვალუტის შემოღება. წინა პერიოდის ქაოსის ინფლაციის და საკურსო რყევების ფონზე ეს სტაბილურობის ფაქტორს წარმოადგენდა.

2003 წლისათვის ქვეყანა მრავალი გადაუჭრელი პრობლემის და კრიზისული ფონის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ მთავრობამ განახორციელა ეფექტური ცვლილებები: სტრუქტურულ-საკადრო ორგანიზაციულ და ტექნოლოგიურ სფეროში, შესაბამისად გაიზარდა ორგანიზაციული მდგრადობის და ქმედითობის ხარისხი. მკვეთრად შემცირდა კორუფციის მასშტაბი, საჯარო ადმინისტრაციული ორგანოების ქვედა და საშუალო დონეებზე. ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პოსტულატები ეფუძვნებოდა ეკონომიკური თავისუფლების დერეგულაციის და ეკონომიკური მოდერნიზაციის თეზებს. ცალკეული მიდგომები კი ლიბერტარიანული ხედვების გამოვლენა იყო. პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმებად ცალკეული მაკროეკონომიკური პარამეტრების მიხედვით (მშპ-ს ზრდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა) და საერთაშორისო რეიტინგულ ინდექსებში (ეკონომიკური თავისუფლების, ბიზნესის კეთების ინდექსები და ა.შ) პოზიციების გაუმჯობესება იქცა. უკვე 2007 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ პიკს მიაღწია. ხოლო 2008-წლიდან სამთავრობო პროგრამებსა და განცხადებებში ხდება სოციალური პრობლემების წინა პლანზე წამოწევა, იზრდება

ბიუჯეტიდან სოციალური დანახარჯები, აქცენტი გადადის დასაქმებასა და სოფლის მეურნეობაზე. მაგრამ მიუხედავად აღნიშნული ღონისძიებებისა მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკას აკლდა თანმიმდევრულობა და ეკონომიკური განვითარების რეალური უპირატესობის გამოვლენა.

საქართველოში ამ მოვლენების განვითარების პარალელურად, მსოფლიო ეკონომიკური სისტემაც ვითარდებოდა და ახალი ინვესტიციების საფუძველზე იქმნებოდა ახალი კავშირები და პარტნიორობა. ერთ-ერთ ასეთს წარმოადგენდა 2009 წელს შექმნილი აღმოსავლეთის პარტნიორობა, რომლის საფუძველზეც ევროკავშირი გამოთქვამდა მზადყოფნას დახმარებოდა ამ პარტნიორობაში შემავალ სახელმწიფოებს ეკონომიკურ განვითარებაში.

აღმოსავლეთ პარტნიორობასთან თანამშრომლობის საფუძველზე საქართველო იღებდა ვალდებულებას, რომ განეხორციელებინა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობა. ეს თანამშრომლობა საფუძვლად ედო დემოკრატიის და კარგი მმართველობის დამკვიდრებას, ენერგო უსაფრთხოების ხელშეწყობას, ეკონომიკურ ინტეგრაციას და ევროკავშირის პოლიტიკებთან მიერთებას და ხალხთა შორის კონტაქტების განმტკიცებას, რომელიც შეამცირებდა სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობას და განამტკიცებდა სტაბილურობას.

საბოლოო ჯამში 2014-წლისათვის გვაქვს შემდეგი ვითარება: წინა წლებთან შედარებით ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა საგრძნობლად შეიმჩნევა. რაც გამოიხატება მშპ-ს და საარსებო მინიმუმის ზრდაში.





საგარეო ურთიერთობები ხორციელდება მსოფლიოს ისეთ ქვეყნებთან როგორიცაა: თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩინეთი, იაპონია, რუსეთი, უკრაინა, გერმანია, აშშ და სხვა.



საგარეო სავაჭრო ბრუნვა შეადგენს 5447 000 აშშ დოლარს.



საერთაშორისო რეიტინგებში კი საქართველო 141 საუკეთესო ბიზნეს ქვეყანას შორის 50-ე ადგილზეა .

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით კი 22 ადგილს ვიკავებთ .



ჩვენი ქვეყნის მაგალითიდან გამომდინარე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ეკონომიკური თავისუფლება წარმატებული სახელმწიფოს საწინდარია. თუმცა საქართველო განვითარებული ქვეყნების გვერდით ადგილს ვერ იკავებს, რადგან მათ ჩვენზე მეტად აქვთ გათვითცნობიერებული ის ფაქტი ,რომ თავისუფალი ვაჭრობა არ გულისხმობს მხოლოდ მსოფლიო ბაზარზე ორიენტირებას და ეროვნული ღირსებების უკანა პლანზე გადაწევას, მათ

შორის ბუნებრივი რესურსების აუთვისებლობას. ამიტომ უნდა ვეცადოთ დავიცვათ მაქსიმალური ზომიერება და მივბაძოთ არა სხვებს, არამედ მისაბაძი გავხდეთ ჩვენვე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს ეკონომიკური მიმოხივა 2014 წელი პირველი 6 თვე.
- ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრი-„აღმოსავლეთის პარტნიორობა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა“
- საჯარო პოლიტიკის ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება“საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია“ დამოუკიდებლობის 20 წელი

კერძო საკუთრება და ეკონომიკური თავისუფლება

ნანა ტაბატაძე - ბაკალავრიატი

დემოკრატიის თანამედროვე გაგებისთვის უმნიშვნელოვანეს ღირებულებას წარმოადგენს კერძო საკუთრების უფლება, მისი ხელშეუხებლობის გარანტიები და თავისუფალი ეკონომიკური საქმიანობის უფლება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრების უფლებაზე ამგვარმა წარმოადგენამ თანდათანობით დაიკავა თავისი ხელშეუხებელი ადგილი დემოკრატიის გაგებაში.

კერძო საკუთრებისადმი თანამედროვე დამოკიდებულების ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის ჯონ ლოკის (1632-1704) შეხედულებებს. მისი თეორია დაფუძნებულია ისეთ ბუნებით უფლებებზე, როგორიცაა სიცოცხლის, თავისუფლებისა და კერძო საკუთრების უფლება. ლოკი თვლიდა, რომ კერძო საკუთრება ჯერ კიდევ სახელმწიფოს წარმოშობამდე ყალიბდება და იგი, როგორც ინდივიდის ერთ-ერთი ბუნებითი უფლება, სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად არსებობს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფო კი არ უბოძებს მოქალაქეებს კერძო საკუთრების უფლებას, არამედ ეს თანდაყოლილი უფლებაა, სახელმწიფო კი ვალდებულია მხოლოდ დაიცვას ის. ლოკი მიუთითებდა, რომ სახელმწიფოს წარმოშობამდე, როდესაც ადამიანები ბუნებით მდგომარეობაში ცხოვრობდნენ მართალია არსებობდა თავისუფლება, მაგრამ თავისუფლებასაც და საკუთრებასაც გარკვეული საფრთხე ემუქრებოდა. ამიტომ, ადამიანებმა საზოგადოებრივი ხელშეკრულების ძალით, თავიანთი უფლებების ნაწილი ნებაყოფლობით დათმეს და სახელმწიფოს გადასცეს, მხოლოდ იმ რაოდენობით, რაც აუცილებელია მშვიდობის დასამყარებლად.

ადამ სმიტი (1723-1790) ავითარებდა შეხედულებებს, რომ ადამიანთა ცხოვრების მორალური მხარე და ეკონომიკური საქმიანობა შესაძლებელია სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი ჩარევისა და დირექტივების გარეშე და რომ ის ერი და ქვეყანა უფრო ძლიერია, სადაც მოქალაქეებს თავისუფლად შეუძლიათ გამოავლინონ პირადი ინიციატივა. ის ამტკიცებდა რომ გარკვეული პირობების არსებობისას თავისუფალ ბაზარს შეუძლია თვითრეგულირება და შეუძლია უფრო მეტ წარმოებას მიაღწიოს. მთავრობას ის მხოლოდ უკანონობის, თაღლითობისა და ძალადობის აღკვეთის ფუნქციას მიაკუთვნებდა.

კოლონიალურ ამერიკაში მიღებულ აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციაში (1776) აისახა თომას ჯეფერსონისა და მისი თანამოაზრეების შეხედულებები. აქ აღნიშნულია რომ ადამიანებს მინიჭებული აქვთ განსაზღვრული განუსხვისებელი უფლებები, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლება. ეს ჩამონათვალი თითქმის იმეორებს ჯონ ლოკის ციტატას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „საკუთრება“ აქ შეცვლილია „ბედნიერებისკენ სწრაფვით“.

ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად საბჭოთა კავშირში, კერძო საკუთრების გაგება პირადი საკუთრების გაგებით შეიცვალა. ამ ორ ცნებას შორის განსხვავება ის იყო, რომ პირად საკუთრებაში არ შეიძლებოდა არსებულიყო საწარმოო საშუალებები, შესაბამისად პირადი საკუთრება არ შეიძლებოდა გამოეყენებინათ კერძო წარმოებისა და კერძო ბიზნესისთვის. კერძო საკუთრების მოწინააღმდეგეები აღნიშნავდნენ, რომ კერძო წარმოების უფლება შესაძლებელს ხდიდა კერძო საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას (მაგალითად, კერძო პირთა მიერ სხვათა დაქირავებას); ასეთ ურთიერთობებს კი ისინი ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას უწოდებდნენ. პირადი საკუთრება არ შეიძლებოდა გამოეყენებინათ ექპლუატაციისა თუ სხვა ფორმის კერძო შრომითი ურთიერთობებისთვის. თუმცა მოცემული მოდელის მოწინააღმდეგენი მის ერთ არსებით მხარეს აღნიშნავდნენ: საწარმოო საშუალებათა ფაქტობრივ მესაკუთრედ, და შესაბამისად, ექსპლუატატორად, თავად სახელმწიფო წარმოდგებოდა და თითოეული ადამიანი ვალდებული იყო მისთვის, ანუ ფაქტობრივად ხელისუფლებაში მყოფი ადამიანთა ჯგუფისათვის ემუშავა ყოველგვარი ალტერნატივის გარეშე.

კერძო საკუთრების, როგორც ინდივიდუალური თავისუფლების გარანტიის საკითხის გასახილველად მნიშვნელოვანია ადამიანის თავისუფლებებისა და სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების ურთიერთმიმართება. პიროვნების თავისუფლება წარმოუდგენელია კერძო საკუთრების უფლების გარეშე. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა კი აუცილებელი წინაპირობაა არა მხოლოდ ეკონომიკური თავისუფლებისთვის, არამედ თითოეული ინდვიდის პირადი თავისუფლებისთვისაც. პიროვნების თავისუფლებისა და კერძო საკუთრების მომხრეები არ უარყოფენ გეგმიურობას საერთოდ (მათ შორის ეკონომიკაშიც), არამედ სახელმწიფოს მხრიდან ისეთი რეგულირების წინააღმდეგ გამოდიან, რომელიც მიზნად მესაკუთრეთა თავისუფალი კონკურენციის შეცვლას ისახავს.

XIX საუკუნის ისტორიაში რამდენიმე ნათელი მაგალითია იმისა, რომ კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპზე უარის თქმამ და თავისუფალი კონკურენციის ჩანაცვლებამ სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებით, რაც მიზნად ისახავდა მოსახლეობის სოციალურ დაცვასა და სტაბილურობას საზოგადოებაში, საბოლოო ჯამში, მოქალაქეთა თავისუფლებების მნიშვნელოვან შეზღუდვამდე მიგვიყვანა (საბჭოთა კავშირში, ჩინეთში, ჩრდილოეთ კორეაში, კუბასა და სხვაგან). კარგავდნენ რა კერძო საკუთრების უფლებას, მოქალაქეები მალევე კარგავდნენ სხვა მნიშვნელოვან უფლებებსაც: საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლებას (მაგ., ჩაწერის ინსტიტუტის არსებობა), სამუშაო ადგილს (შეიქმნა კოლმეურნეობები), აიძულებდნენ, ეშრომათ სახელმწიფოს მიერ დანიშნულ (ხშირად არცთუ ისე დიდ) ხელფასზე. ამას თან ახლდა რეპრესიული სამართალდამცავი ორგანოების ჩამოყალიბება; მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში საერთოდ უფასოდ შრომობდა.

რასაკვირველია, ეს ყველაფერი ემსახურება იმ ფაქტის სინათლეზე გამოტანას, რომ ადამიანის უფლების წარმოდგენა შეუძლებელი იქნებოდა სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილი და გარანტირებული კერძო საკუთრების უფლების გარეშე.

ადამიანი, როგორც საზოგადოების მონაწილე, პიროვნული თვალსაზრისით უაღრესად დამოკიდებულია სხვებზე. ერთობლივად წარმოებული პროდუქტის წილის ღირებულება იმ ჯგუფის ყველა წევრის ქცევაზეა დამოკიდებული, რომელმაც ეს პროდუქტი შექმნა და ცალკეულია პიროვნების ქცევა პროდუქტის ღირებულებაზე იმის შესაბამისად ახდენს გავლენას, თუ რამდენი წევრისგან შედგება ეს ჯგუფი. საზიარო მფლობელობაში მყოფი რესურსის კერძო და ცალკეულ სფეროებად განაწილება, ცალკეული პიროვნების სხვა ადამიანების ყოფა-ქცევაზე დამოკიდებულებას ამცირებს და მოტივაციის გაზრდის შედეგად, პროდუქტის უფრო მაღალი ღირებულების წარმოების მიზეზი ხდება. ცალკეული პიროვნების თავისუფლების ხარისხი იზრდება, თუ თავისუფლებას განვიხილავთ, როგორც ცალკეული პიროვნების კეთილდღეობის უკუპროპორციულ დამოკიდებულებას სხვა ადამიანების ყოფაქცევაზე.

მაქსიმალური დამოუკიდებლობა მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ ადამიანი სოციალური კავშირებიდან გარიდებული იცხოვრებს და მისი არსებობა ისეთ ნებაყოფლობითი კავშირების და ურთიერთობების არსებობასაც გამორიცხავს, როგორიცაა ვაჭრობა ან

გაცვლები. მეტაფორულად რომ გამოვხატოთ, მაქსიმალური დამოუკიდებლობა შეიძლება წარმოდგენილი იქნას, როგორც თვითკმარი განცალკევებული საოჯახო მეურნეობა, რომელიც თავის ყველა საჭიროებებს დამოუკიდებლად იკმაყოფილებს.

ახლა კი გადავიდეთ აღნიშნული საკითხის შემდგომი დახასიათებითა და განხილვით: იგი გავაანალიზოთ კერძო მფლობელობის, როგორც თვითწარმოების ჭრილით. კაპიტალური აქტივების მფლობელობის ერთ-ერთი ინტერპრეტაციის შესაბამისად, ეს ინსტიტუტი ადამიანებს საშუალებას აძლევს, რომ მათი მეშვეობით საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საჭირო პროდუქტი აწარმოონ, ჩვენს მიერ კვერცხისა და კარტოფილის მწარმოებელი ფერმერების მაგალითის მსგავსად. შიდა მეურნეობა, რომელსაც საკუთარი მიწა და სახლი აქვს და თავისი წარმოება გააჩნია, ანუ თავის საჭიროებებს იკმაყოფილებს, ბაზრის მომწოდებლებთან და მონაწილეებთან ურთიერთობებში შესვლას არ საჭიროებს. ადამიანი, რომელსაც მანქანა აქვს, დროდადრო საჭიროების მიხედვით იყენებს მას.

კერძო საკუთრება საშუალებას აძლევს ადამიანს საბაზრო ურთიერთობებიდან გავიდეს და საკუთარი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს. საკუთარი წარმოება პირდაპირი სახით ამცირებს დამოკიდებულებას სხვა მონაწილეებზე, ხოლო ინდივიდს ბაზარზე მონაწილეობა გარკვეული პროდუქციის ან მომსახურეობის მყიდველის სახით აღარ უწევს. ამ თვალსაზრისით საკუთარი წარმოება, რაც შესაძლებელი ხდება შესაბამისი აქტივების ფლობის შემთხვევაში არ განსხვავდება იმ წარმოებისგან, როდესაც ჩასადები სიმძლავრეები ბაზრის გარეშე მოიპოვება (მაგალითად ბოსტნეული საკუთარი მიწიდან). ბევრი სხვადასხვა აქტივის (სახლი, მანქანა, ავეჯი, ტექნიკა, საქონელი, ხილის ხეები და სხვ). კერძო მფლობელობა გულისხმობს რომ ამ აქტივების შედეგად წარმოებული პროდუქტი ასევე ამცირებს მათი მფლობელის დამოკიდებულებას ბაზრის ფუნქციონირებაზე, რადგან ამ პროდუქციის ფულად შემოსავლებზე გაცვლაა შესაძლებელი. ეს ასპექტი უფრო დეტალურ განხილვას საჭიროებს: მოდით განვიხილოთ შემოსავლების ბრუნვის ელემენტარული დიაგრამა: A პირი ბაზარზე გადის და საკუთარ მომსახურეობას სთავაზობს, ანუ გამყიდველი მიმწოდებლის როლში გამოდის.



იმავდროულად A პირი ბაზარზე გარკვეული მომსახურეობისა და საქონლის მყიდველის სახითაც მონაწილეობს. ისეთი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სადაც ყველა ბაზარზეა დამოკიდებული, ადამიანი, როგორც მიმწოდებლის, ასევე მყიდველის როლში სხვების ქცევაზეა დამოკიდებული. თუ A პირს ბაზრიდან გასვლის შესაძლებლობა ექნება საკუთარი წარმოების ორგანიზაციების ხარჯზე, მაშინ მოთხოვნის მხარეს შემოსავლების ნაკადის მოცულობა შემცირდება (სახლის მფლობელობასთან ერთად ადამიანს აღარ უწევს ბინის ყოველთვიური ქირის გადახდა). თუ ინდივიდს (შიდა მეურნეობას) ნაკლები შემოსავლები დასჭირდება საქონლისა და მომსახურეობის შესაძენად, მაშინ მიმწოდებლის (გამყიდველი) შემოსავლების ნაკადიც შემცირდება.

საკუთარი წარმოება, რომელიც საკუთრების მფლობელობის პირობებშია შესაძლებელი, ალბათ უფრო მნიშვნელოვანია ინდივიდის, როგორც გამყიდველის დამოკიდებულობის შემცირების თვალსაზრისით, ვიდრე მყიდველის დამოკიდებულების შემცირების თვალსაზრისით. ადამიანებმა შესაძლებელია ჩამოთვალონ, რომ ისინი უფრო დაუცველნი არიან თუ მიწოდების მხარეს აღმოჩნდებიან, რადგან ამ შემთხვევაში სპეციალიზაციის ხარისხი უფრო მაღალია და გარიგების დანახარჯებიც უფრო მაღალია ალტერნატიული მყიდველების არსებობის პირობებში, თანაც ეს დანახარჯები ადგილმდებარეობის მიხდევით კორექტირებას საჭიროებენ. წარმოგიდგენთ იმ ადამიანის მდგომარეობას, რომელიც საბაზრო ძალების ზეგავლენის შედეგად უმუშევარი რჩება: თუ ეს ადამიანი სახლს, მანქანას, ავეჯსა და ტექნიკას ფლობს, მაშინ მისი დაუცველობა ბაზრის შედეგად გამოწვეული შოკით უფრო ნაკლები ხარისხისაა. ამ აქტივების ფლობის შედეგად საკუთარი წარმოების ორგანიზება მას საშუალებას აძლევს არსებობისთვის აუცილებელი სახსრები მოიპოვოს, რაც ამ საკუთრების გარეშე შეუძლებელი გახდებოდა. აქედან გამომდინარე, ეკონომისტებმა უნდა აღიარონ, რომ კერძო საკუთრების ინსტიტუტი გარკვეულწილად პარადოქსულია იმ გაგებით რომ ის

საბაზრო ურთიერთდამოკიდებულებებში „ეფექტურობის“ უპირატესი მნიშვნელობის მიუხედავად არსებობს. იდეალიზირებული ფუნქციონირების პერიოდში ბაზარმა უფრო მეტი მომსახურეობა უნდა შესთავაზოს იგივე დანახარჯების სანაცვლოდ ან მეტი მომსახურეობა ნაკლები დანახარჯებით ვიდრე კერძო საკუთრების საფუძველზე არსებული წარმოების შედეგად მიიღება. თუ ეკონომიკის მასშტაბებს ერთმანეთს შევადარებთ იდეალურმა საბინაო ბაზარმა იგივე ხარისხის სახლის უზრუნველყოფა ნაკლები დანახარჯებით უნდა შეძლოს.

სტანდარტულ ანალიტიკურ მაგალითებში საბაზრო პირობებში ადამიანის დაუცველობა გათვალისწინებული არ არის და ნავარაუდევია, რომ მოდელები იდეალურად მუშაობენ, მაგრამ შესაძლებლობა თავისუფალი იყო ბაზრის ზეგავლენისა და შოკისაგან, მნიშვნელოვანი არგუმენტია საკუთრების სასარგებლო ფუნქციის დასამტკიცებლად. საკუთარი წარმოება, რის საშუალებასაც კერძო საკუთრება იძლევა, უფრო „ეფექტური“ფუნქციაა ვიდრე ბაზრის პირობებში შემოთავაზებული შესაძლო სარგებელი.

კერძო საკუთრების ეფექტურობა, რომელიც ადამიანებს საბაზრო შოკისგან იცავს, აქამდე მხოლოდ იმ აქტივებთან დაკავშირებით განიხილებოდა, რომლებიც საქონელსა და მომსახურეობას პირდაპირი სახით აწვდიან. ანუ აქტივების მფლობელი პირდაპირ მოგებას იღებს. ასევე მოხსენიებული იყო საბინაო მომსახურეობა ანუ „გაქირავება“ და გრძელვადიანი მოხმარების საგნები. აქამდე იმ აქტივების კერძო მფლობელობაზე, რომლებსაც ფულადი შემოსავლები მოაქვთ არ ვსაუბრობდით. მიაქციეთ ყურადღება, რომ აქ მატერიალურ აქტივებსა და ფინანსურ აქტივებს შორის განსხვავებაზე საუბარი არ არის, რადგანაც ზოგ მატერიალურ აქტივებსაც ფულადი და არა სხვა სახის შემოსავლები მოაქვთ. ფინანსურ აქტივებს ფულადი შემოსავლები მოაქვს, რაც თავად მათი დასახელებიდანაც ნათელია.

ფინანსური ატივების მფლობელი მაგალითად ობლიგაციების მფლობელი განსხვავებით ბინათმფლობელისგან, რომელიც მომსახურეობას სთავაზობს, არაფერს არ აწარმოებს. რასაკვირველია, ის გარემოება რომ ადამიანს გარკვეული ფულადი შემოსავლები ეკუთვნის, არ ნიშნავს რომ ეს ადამიანი არ მონაწილეობს ბაზარზე. ეს უკანასკნელი ფლობს აქტივებს, რომლებსაც ფულადი შემოსავლები მოაქვს, მაგრამ იგი იხდის ბინის ქირას, მანქანისა და ტელევიზორის ქირას (თუ იჯარით აქვს აღებული). ის, რომ ამ ადამიანს გარკვეული ფულადი შემოსავლები აქვს, მასზე, როგორც საბოლოო პროდუქციის მყიდველზე, გავლენას არ ახდენს.

ანუ ამ შემთხვევაში ბაზრის შოკის წინაშე დაუცველობა გაცვლის პირობების გამო მასზე არ ვრცელდება; მაგრამ რაც შეეხება შემოსავლების ბრუნვის მიწოდების მხარეს, აქტივების მფლობელის მიერ თანხის გატანის მოთხოვნა ამცირებს რეალიზაციას, რადგანაც საქონლის მოხმარების დაფინანსებაა საჭირო. ადამიანს, რომელიც თვეში 100 დოლარს იღებს ობლიგაციებიდან და საპროცენტო შემოსავლების სახით, საქონლის მოხმარებაზე თავისი შრომის რეალიზაციის შედეგად მიღებული მიმდინარე შემოსავლებიდან 100 დოლარით ნაკლები ეხარჯება. ანუ აქტივების მფლობელი იღებს შემოსავალს, რომელიც ხელს უწყობს რომ მან უფრო ძვირი სამომხმარებლო კალათით ისარგებლოს და იმავდროულად საკუთარი შრომით უფრო ნაკლები წვლილი შეაქვს ბაზარზე. მაგრამ შემოსავალი ორივე შემთხვევაში ბაზრის მეშვეობით ბრუნავს. ამ ვითარებისგან განსხვავებით იმ აქტივების მფლობელი რომელიც პირდაპირ მომსახურეობას უზრუნველყოფს ბაზრის წარმადობაზე დამოკიდებულისა და გაცვლითი ურთიერთობებისგან განთავისუფლებულია.

კერძო მფლობელობაში არსებულ აქტვებს შორის, რომლებსაც ფულადი შემოსავლები მოაქვთ და იმ აქტივებს შორის, რომლებიც მომსახურეობას აწარმოებენ და რეალიზაციის შემთხვევაში მფლობელებისთვის ფულადი შემოსავლები მოაქვთ, სხვა განსხვავებაც არსებობს. ორივე შემთხვევაში მფლობელს ფულადი შემოსავლები აქვთ, რის გამოც მისი დამოკიდებულება ბაზარზე ნაკლებია და მას ნაკლები წვლილი შეაქვს ბაზარზე პროდუქციის სახით, მაგრამ განსხვავებაა დაუცველობის თვალსაზრისით იმ ძალების წინაშე, რომლების აქტივების მფლობელის კონტროლის ფარგლებს გარეთ არიან. იმ შემთხვევაში, როდესაც უძრავი ქონების რეალიზაციის გზით, მფლობელი ფულად შემოსავლებს იღებს, იგივე აქტივზე ბაზრის ცვალებადობის წინაშე დაუცველია. მეორე შემთხვევაში, როდესაც მფლობელი თავის აქტივებიდან პირდაპირ ფულად შემოსავლებს იღებს, მფლობელი ზოგადად საქონლისა და ფულადი ნაკადების მოძრაობაში ცვლილებების თვალსაზრისით დაუცველია. ეს დაუცველობა მაქსიმალურია, როდესაც კერძო საკუთრება ფულად ფორმას იღებს, ან ისეთ ვალდებულებეთან დაკავშირებით, რომლებიც ფულად ერთეულში გამოხატული მოგების გარანტიას იძლევა. ახლა საუბარი გავაგრძელოთ კერძო საკუთრების როლზე იმ ასპექტში რომ დროთა განმავლობაში იგი ადამიანს ხელს უწყობს შემოსავლების ნაკადების დარეგულირებაში, დამოუკიდებლად იმისა თუ რა სახის საკუთრებაა ეს. ფინანსურ ნაკადებში როგორც შემოსავლები ასევე დანახარჯები იგულისხმება, რომლებიც

აქტივების არსებობის ციკლის განმავლობაში ბაზრის მეშვეობითაა გენერირებული, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეს ანალიზი ძირითადად, საკუთრების დამცავი როლით შემოიფარგლებოდა,რაც იდეალური ბაზრის პირობებში საჭირო არ უნდა იყოს. ნათელია, რომ ანალიზის პროცესში განხილული იყო კერძო საკუთრების მოდელი, რომლის დროსაც, ეკონომიკური ურთიერთობების ყველა მონაწილე მუდმივად არსებობს და ყოველთვის წარმოადგენს მიწოდების ან მოთხვონის მხარეს. თუ ამ მოდელში დროის ფაქტორსაც შევიტანთ, ნათელი ხდება რომ ადამიანთა ცხოვრების განმავლობაში, შემოსავლებისა და დანახარჯების მოცულობებში კორექტივების შეტანა ხდება, რის გამოც აუცილებელია არსებობდეს ინსტიტუტტი რომელიც განსაზღვრავს, კერძო საკუთრების ღირებულებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ის გარემოება, რომ ადამიანი თავისი შესაძლებლობების სრული მფლობელია, ადამიანური კაპიტალის აკუმულაციის საშუალებას იძლევა, მაგრამ გარდა ამისა, საჭიროა დამატებითი ფაქტორი კაპიტალური აქტივების სახით.

არსებობს ურთიერთკავშირი კერძო საუთრებასა და კაპიტალის აკუმულაციის ტემპებს შორის და აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის, აქ რასაკვირველია არ იგულისხმება რომ საკუთრების ინსტიტუციები სიცოცხლისუნარიანი ანუ მნიშვნელოვანი არ არის ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისთვის, რაც ნამდვილად მისაღები და საღი აზრია. კერძო საკუთრება განხილულ უნდა იქნას, როგორც ადამიანთა თავისუფლების, დაცვის უზრუნველყოფის ინსტიტუტი და არა როგორც ეკონომიკური ზრდისა და ეფექტურობის მექანიზმი.

კერძო საკუთრბის როლი შემოსავლებისა და ხარჯების ნაკადებში დროებითი კორექტივების შეტანის საშუალებას იძლევა, მაგრამ იგი არ არის პირდაპირ დამოკიდებული კონკრეტული საბაზრო ძალების ზემოქმედებაზე. კერძო საკუთრბის ღირებულება მაინც უმნიშვნელოვანესია და იგი რეალური ცხოვრების უმოწყალო ძალებისგან დაცვის საშუალებას იძლევა, მაშინაც კი როდესაც კონკურენციის პროცესები ისეთია, რომ ადამიანს ადმიასნ დროის ყველა მონაკვეთზე მრავალ სხვადასხვა ალტერნატივას სთავაზობს სხვადასხვა ბაზარზე. ადამიანი, რომელიც ნაკლებად ექვემდებარება „ბაზრის ბრმა ძალების“ ზემოქმედებას, მაინც დაინტერესებულია რომ აქტივებს კერძო საკუთრების სახით ფლობდეს. საკუთრების აქტივების ყველაზე მიზანშეწონილი ფორმა ადამიანთა სხვადასხვა მოტივაციაზეა დამოკიდებული. იმ ადამიანისათვის, რომელიც კონკურენტული საბაზრო

პროცესების მხარდამჭერია და რომლის ძირითადი და ერთადერთი მოტივაცია იმაში მდგომარობს, რომ მას თავის შემოსავლებსა და ხარჯებში დროებითი კორექტივების შეტანის შესაძლებლობა უნდა რომ გააჩნდეს აქტივების ყველაზე მიზანშეწონილი ფორმა ის იქნება, რომელიც ყველაზე უფრი ადვილად გარდაიქმნება სხვა აქტივად, ანუ ნაღდ ფულად. თუ ამჯერად არ გავითვალისწინებთ საკუთრების პრევენციულ დანიშნულებას, ფულადი სახსრებია ან ფასიანი ქაღალდების აკუმულაციის ყველაზე მიზანშეწონილ ფორმას წარმოადგენენ. რასაკვირველია, კერძო საკუთრების უფლების დაცვაზე მიმართულ არგუმენტებსა და ინფლაციასთან ურთიერთკავშირს შორის ღმა განხილვას საჭიროებს, როგორც უკვე აღინიშნა ადამიანი, რომელიც საბაზრო ძალების ზეგავლენას არ განიცდის და საბაზრო შოკიდან თავს დაუცველად არ გრძნობს, საკუთრების ფლობაში მაინც იქნება დაინტერესებული. თავისი შემოსავლებსა და ხარჯებში დროებითი კორექტივების შეტანის შესაძლებლობის გამო. იდეალურ შემთხვევაში ეს ადამიანი ისეთ საკუთრებას ამჯობინებს, როგორიცაა ფულადი სახსრები ან ფასიანი ქაღალდები. მაგრამ იმისთის, რომ ასეთი იდეალიზირებული გარემო რეალურად შესაძლებელი გახდეს, აუცილებელია არა მხოლოდ ყველა ბაზარზე რეალური კონკურენციის უზრუნველყოფა, არამედ ასევ იმის უზრუნველყოფა, რომ ფულადი სახსრების და საქონლის ღირებულების თვალსაზრისით, არანაირ შოკს არ ექნება ადგილი. შესაბამისად საჭირო გახდება გარკვეული დამცავი მექანიზმების დანერგვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1). http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-0l--11-en-00---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&cl=CL4.3&d=HASH01bebbf8bd1f474f9ae2cea0.9

2). http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-1l--11-ru-00---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-10-0-11-1-0utfZz-8-10&cl=CL2.5&d=HASH0161c05c1607a876a1191844.4.2&x=1

კონფერენციის მონაწილეები:

ნ. ივანიძე, ნ. გრიგორიანი - **კერძო საკუთრება და ეკონომიკური თავისუფლება** 4

თ. იაკობაძე - **ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა** 13

მ. ნამგალაძე, ა. ხაჟუმია - **თავისუფლება და ეკონომიკური თავისუფლება** 21

ნ. ტაბატაძე - **კერძო საკუთრება და ეკონომიკური თავისუფლება** 28